



მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
სამხეთა მმართველობის გამოცემა

1930 წ. ივლისის 3.

№ 11

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი :

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს
დადგენილებანი.

143. კონფისკებული ბეთალმანი და უპატრონო ქონების გამოყენების წესის შესახებ.

144. სოფლად საკომლო დავთრების (საოჯახო სივების) სავალდებულო შემოღების შესახებ.

145. საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული მთავარი საკურორტო სამმართველოს დებულების 16 და 17 მუხლების შეცვლის შესახებ.

146. პასუხსაგებ სამუშაოზე მუშათა და გლეხთა დაწინაურების წესისა და დაწინაურებულთა მუშაობის პირობების თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს-სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 11-ის დადგენილების გაუქმების შესახებ.

147. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 73 და 80 მუხლების შეცვლის შესახებ.

148. „სავეტორო უფლების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ გამოცემული 1929 წ. აგვისტოს 30-ის დადგენილების მე-2 მუხლის რედაქციისა და აღნიშნული დებულების მე-9 მუხლის შეცვლის შესახებ.

149. საქართველოს სსრ შრომა—გაწვორების კოდექსის პირველი კარის მე-IV თავის შეცვლის შესახებ.

150. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსისათვის XXVII^ე თავის—„საკრედიტო დაწესებულებებში მიმდინარე ანგარიშებზე და ანაბარებზე უდავო წესითი გადახდევინების მიტკევისათვის ნებართვის გაცემის წესის“—დამატების შესახებ.

151. სოფლის აგრონომიულ რწმუნებულთა დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სოფლის აგრონომიულ რწმუნებულთა შესახებ.

152. ახალქალაქის მაზრაში საიალადო კომიტეტის მოწყობის შესახებ.

153. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 171^ე მუხ. დამატებისა და ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დევნის წესის შესახებ.

154. სამხედრო დანაშაულთა დებულების (სისხლის სამართლის კოდექსის დანართი) 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის შეცვლის შესახებ.

155. სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლისთვის „უ“ პუნქტის დამატების შესახებ.

156. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 290 მუხლის „ბ“ პუნ. რედაქციის შეცვლის შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

157. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის განყოფილების სამედიცინო ჩატარების შესახებ.

სახალხო კომისარიატის დადგენილებანი.

158. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის შესახებ.

159. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობასთან არსებული სარედაქციო-იურიდიული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობასთან არსებული სარედაქციო-იურიდიული ბიუროს შესახებ.

160. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის და ეკონომიური საბჭოს განსახილველად საკითხების შეტანის წესის შესახებ.

161. „უაზართო და აზარტიან თამაშობათა დაწესებულებების გახსნისა და მათთვის ზედამხედველობის გაწევის წესის-თაზაზუ“ გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

162. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის გადაცემისა და ამ ფაკულტეტის ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტად გადაკეთების შესახებ.

163. კლინიკებში სტაჟ-დამთავრებულ შტატის სამედიცინო მომუშავეთა (ორდინატორთა) და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ საჩვენებელ სამეცნიერო-სასანიტარო დაწესებულებაში სტაჟ-დამთავრებულ შტატის ორდინატორების სავალდებულო სახელმწიფო სამსახურის დებულების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

164. თუთის ხეების დაცვის შესახებ.

165. „ქალაქებისა და ქალაქადგილების მოსახლეობისათვის პურის მიწოდების წესის თაზაზუ“ გამოცემული დადგენილების მე-9 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

166. წყალში დაღუპვისაგან გადამარჩენ საზოგადოებათა მოქმედების განვითარებისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ.

167. კალიასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარიატის დადგენილებანი.

143. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

კონფისკებული, ბეითალმანი და უპატრონო ქონების გამოყენების წესის შესახებ.

„კონფისკებული, ბეითალმანი და უპატრონო ქონების გამოყენების წესის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. თებერვლის 28-ის დადგენილების (ა/კფსრ კან. კრ. 6 №-ი,

მუხ. 69) მე-3 მუხლის შესასრულებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ძველი საგვარეულო ყოფაცხოვრების ნიადაგზე წარმოშობილი დანაშაულის საქმეზე გამოტანილი სასამართლოს განაჩენის თანახმად კონფისკებული ქონების რეალიზაციით მიღებული თანხები უნდა მიიქცეს ჩამორჩენილი ერების ქალთა შორის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის გასაძლიერებლად ფონდების შექმნისათვის.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესი დამყარდება იმ ინსტრუქციით, რომელსაც გამოსცემს ფინანსთა სახალხო კომისარიატი სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომისიასთან შეთანხმებით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია**.

1930 წ. აპრილის 26.

ტფილისი—სასახლე.

144. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სოფლად საკომლო დავთრების (საოჯახო სიების) სავალდებულო შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაევალოს ყველა სასოფლო საბჭოს სოფლად მოსახლეობის აღნუსხვისათვის შემოიღონ საკომლო დავთრები (საოჯახო სიები).

2. საკომლო დავთარში (საოჯახო სიაში) შეიტანება კომლის (ოჯახის) თვითეული წევრი; დავთარში უნდა აღინიშოს კომლის წევრის ასაკი (დაბადების დრო), ეროვნება, სოციალური მდგომარეობა და დამოკიდებულება კომლის (ოჯახის) სხვა წევრებთან.

3. დაეკისროს საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტებს გაუწიონ სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს და მდივნებს ინსტრუქტირება საკომლო დავთრების (საოჯახო სიების) წარმოებისა და სათანადოდ შევსების საქმეში.

4. საკომლო დავთარში (საოჯახო სიაში) შესატანი მამრობითი სქესის პირის ასაკს, იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ასაკის გამოსარკვევად საჭირო დოკუმენტები არ მოიპოება, განსაზღვრავს სპეციალური კომისია, რომელიც მოეწყობა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით; კომისიაში შევლენ: თავმჯდომარედ—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი, წევრებად—სათანადო უბნის სახალხო მოსამართლე და ექიმი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. აპრილის 26.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 140 №-ში 1930 წ. ივნისის 19.

145. დადგენილება ც. ა. კ. და .ს. ა. ს.

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული მთავარი საკურორტო სამმართველოს დებულების 16 და 17 მუხლების შეცვლის შესახებ.

რადგანაც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის იანვრის 26-ის დადგენილების თანახმად საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კურორტთა მთავარ სამმართველოსთან მოეწყო, როგორც დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეული, ბორჯომის მინერალური წყლების სამმართველო მისთვის განსაკუთრებული საწესდებო კაპიტალის გამოყოფით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული მთავარი საკურორტო სამმართველოს დებულების (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ. მე-2 №-ი, მუხ. 45 და 1928 წ. 12 №-ი, მუხ. 114) 16 და 17 მუხლები შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 16. სამეურნეო-საფინანსო ნაწილი განაგებს მთავარ საკურორტო სამმართველოს სამეურნეო, საფინანსო და საექსპლოატაციო მუშაობას, როგორც სახელმწიფო დაწესებულებისა და ერთიან სამეურნეო ორგანოსას ყველა მისი დამხმარე კომუნალური საწარმოთი, აგრეთვე განაგებს სანატორიუმებისა, პანსიონატებისა, საკურორტო სასტუმროებისა და საბინაო ფონდის გეგმიანი ექსპლოატაციის საქმეს.

სამეურნეო-საფინანსო ნაწილი თავის მუშაობას განახორციელებს შემდეგი ორი განყოფილების მეშვეობით:

- ა) სამეურნეო-საექსპლოატაციო და
- ბ) საფინანსო-საანგარიშო განყოფილებისა.

„**მუხ. 17.** საქართველოს კურორტთა მთავარი სამმართველოს გამგებლობაში იმყოფება ცალკე სამეურნეო ერთეული, იურიდიული პირის უფლებით „ბორჯომის მინერალური წყლის ქარხნების სამმართველო“ („ბორჯომისწყალი“), რომლის გამგებლობის საგანსაც შეადგენს: ბორჯომის მინერალური წყლების ამოღება, ჩამოსხმა და გასაღება და აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე სხვა მინერალური წყაროების კვლევის წარმოება და ექსპლოატაცია, ბორჯომის მინერალური წყლების სამმართველო მოქმედობს განსაკუთრებული წესდების თანხმად, რასაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია**.

1930 წ. აპრილის 26.
ტფილისი—სასახლე.

146. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„**პასუხსაგებ სამუშაოზე მუშათა და გლეხთა დაწინაურების წესისა და დაწინაურებულთა მუშაობის პირობების თაობაზე**“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 11-ის დადგენილების გაუქმების შესახებ.

„დაწესებულებასა და საწარმოში დასაწინაურებულთა მუშაობის პირობების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 18-ის დადგენილებასთან (აკსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-4 №-ი, მუხ. 46) დაკავშირებით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დე-

კემბრის 11-ის დადგენილება „პასუხსაგებ სამუშაოზე მუშათა და გლეხთა დაწინაურების წესისა და დაწინაურებულთა მუშაობის პირობების შესახებ“ (საქსსრ კან. კრ. 1929 წ. 24 №-ი, მუხ. 301).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია**.

1930 წ. აპრილის 26.

თფილისი—სასახლე.

147. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 73 და 80 მუხლების შეცვლის შესახებ.

„სამუშე ბინათმშენებლობის შეღავათების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 18-ის დადგენილების თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-4 №-ი, მუხ. 48) და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. № 1, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 73 და 80 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 73. აღნაგობის ფუფლების ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს:

- ა) ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სახელი;
- ბ) ხელშეკრულების მოქმედების ვადა;
- გ) ზედმიწევნით განსაზღვრა სააღნაგოდ გაცემული ნაკვეთისა;
- დ) საიჯარო ქირის რაოდენობა მანეთობით და ამ ქირის შეტანის ვადები იმ შემთხვევაში, როდესაც ქირის გადახდევინება გათვალისწინებულია კანონით;
- ე) იმ შენობის რაგვარობა და ზომა, რომლის აგებასაც აღმნავი კისრულობს;
- ვ) შენობის დაწყების ვადა;
- ზ) შენობის დამთავრების ვადა;
- თ) შენობის წესიერად შენახვის პირობები;

ი) შენობის დაზღვევის პირობები და აგრეთვე მისი აღდგენის პირობები, უკეთუ შენობა განადგურდა;

კ) პირგაუტეხელობის ჯარიმა ვადის გადაცილებისათვის და ხელშეკრულების სხვაგვარი დარღვევისათვის აღმნავის მიერ.

შენიშვნა 1. შენობის დაწესებისათვის ვადა დაწესებულია არა უმეტეს ერთი წლისა ხელშეკრულების დადების დღიდან.

შენობის დამთავრების ვადა იმ შემთხვევაში, როდესაც მიწის ნაკვეთი გაცემულია მუშათა საცხოვრებელი ბინების ასაგებად, დაწესებულია ორ წლამდე; ეს ვადა გადიდება რვა წლამდე იმ ორგანიზაციისათვის, რომელიც თავის მიზნად ისახავს დასახლებული ადგილების ან სახლების ჯგუფურად გაშენებას.

შენიშვნა 2. საიჯარო ქირის გადიდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ამ ქირის გადახდევინება კანონით არის გათვალისწინებული, შეიძლება დაწესებულ იქნეს ხელშეკრულებაში არა უხშირეს, ვიდრე ხუთ წელიწადში ერთხელ, და თანაც თვითეულ ცალკე შემთხვევისათვის ხელშეკრულებაში განსაზღვრული რაოდენობით.*

მუხ. 80. უკეთუ აღმნავი არ შეიტანს ამა თუ იმ გადასახდელს, რაც მან აღნაგობის ხელშეკრულებით ერთ წელზე მეტი დროისათვის უნდა გაიღოს, ან სხვაგვარად დაარღვევს იმ ვალდებულებას, რისთვისაც ხელშეკრულებით დაწესებულია პირგაუტეხელობის ჯარიმა, კომუნალურ განყოფილებას შეუძლიან გადახდევინება სასამართლო წესით მიაქციოს თვით აღნაგობის უფლებაზე; ამასთანავე გადახდევინების განსახორციელებლად აღნაგობის უფლება უნდა გაიყიდოს საჯარო ვაჭრობით.

უკეთუ ის აღმნავი, რომელმაც ხელშეკრულებით მიწის ნაკვეთზე უნდა ააგოს მუშათა ბინები, არ შეუდგება შენებას ან არ დაამთავრებს მას 73 მუხლის 1-ლ შენიშვნაში აღნიშნულ ვადებზე, ადგილობრივ საბჭოს უფლება აქვს მოშალოს მასთან დადებული ხელშეკრულება აღნაგობის უფლების შესახებ“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

148. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„საავტორო უფლების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ გამოცემული 1929 წ. აგვისტოს 30-ის დადგენილების მე-2 მუხლის რედაქციისა და აღნიშნული დებულების მე-9 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I

„საავტორო უფლების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 30-ის დადგენილების (კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 200) მე-2 მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

„მუხ. 2. ყველა ის უფლებრივი ურთიერთობა და დავა, რაც წარმოიშვა საავტორო უფლებიდან, მათ შორის ისეთიც, რომელიც საავტორო ჰონორარის უფლებიდან გამომდინარეობს, გადაწყვეტილ უნდა იქნეს: ის, რაც წარმოიშვა 1928 წ. ივლისის 17-დე—თანახმად სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საავტორო უფლების საფუძველების შესახებ“ 1925 წ. იანვრის 30-ის თარიღით გამოცემული დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1925 წ. მე-7 №-ი, მუხ. 66 და 67) და ამ დადგენილების განსავითარებლად გამოცემული საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციებისა, წესებისა და ცირკულარებისა; ის რაც წარმოიშვა 1928 წ. ივლისის 17-ის შემდეგ, ხოლო ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების ძალაში შესვლამდე—თანახმად სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1928 წ. მაისის 16-ს დამტკიცებული „საავტორო უფლების საფუძველებისა“ (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 27 №-ი, მუხ. 246) და საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის იმ დადგენილებებისა, ინსტრუქციებისა, წესებისა და ცირკულარებისა, რომლებიც აღნიშნულ აქტს არ ეწინააღმდეგება; ის, რაც წარმოიშვა ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული საავტორო უფლების დებულების ძალაში შესვლის შემდეგ—თანახმად ზემოდ დასახელებული „საავტორო უფლების საფუძველებისა“ და ამ დებულებისა“.

შენიშვნა. ის საკითხები, რაც საავტორო უფლების მოქმედების ვადებს ეხება, გადაწყვეტილ უნდა იქნეს „საავტორო უფლების საფუძველების ახალი რედაქციით სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მაისის 16-ის დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული წესებისამებრ (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 27 №-ი, მუხ. 245).

II.

სააგტორო უფლებების ზემოაღნიშნული, 1929 წ. აგვისტოს 30-ის, დებულებების მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 200) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 9, ნაწ. 1-ლი გამოუცემელი დრამატიული, მუსიკალური, მუსიკალურ-დრამატიული, პანტომიმური, ქორეოგრაფიული და კინომატოგრაფიული ნაწარმოების ავტორს აქვს გამოთავისუფლების უფლება თავისი ნაწარმოების საჯაროდ შესრულებისა“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
 აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
 საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
 აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. აპრილის 26.

ტფილისი—სასახლე.

149. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის პირველი კარის მე-IV თავის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შრომა-გასწორების კოდექსის პირველი კარის მე-IV თავი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

თ ა ვ ი IV.

იძულებითი მუშაობა დაუპატიმრებლად და ამ მუშაობის ორგანიზაცია.

მუხ. 40. საპატიმრო ადგილების სამმართველოებთან, ამ სამმართველოს უფროსის თანაშემწის ან ინსპექტორის უშუალო ხელმძღვანელობით, არსებობს იძულებითი მუშაობის ცენტრალური ბიურო, რომლის შედგენილობაშიაც შევლენ საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატისა და ტფილისის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი.

მუხ. 41. იძულებითი მუშაობა დაუპატიმრებლად, როგორც სოციალური დაცვის ღონისძიება, შეფარდებულ იქნება შემდეგი სამი სახით, რომლებიც ერთ-

მანეთისაგან განსხვავდებიან იმით, თუ რამდენად შეზღუდულია იძულებითი მუშაობის მომხდელი პირის პირადი თავისუფლება:

ა) იძულებითი მუშაობა, რაც გადაწყვეტილია ვადით არა უმეტეს სამი თვისა და რაც სრულდება იმ პირის საცხოვრებელ ადგილას, რომელიც იძულებითს მუშაობას იხდის;

ბ) იძულებითი მუშაობა, რაც გადაწყვეტილია სამ თვეზე მეტი ვადით და რაც სრულდება, როგორც იძულებითი მუშაობის მომხდელი პირის საცხოვრებელ ადგილას, ისე ამ საცხოვრებელი ადგილის გარეთ, სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოში ან სამეურნეო აგნარიშზე მოსაწყობ საწარმოში, რომელიც ადმინისტრაციულ ცენტრშია;

გ) იძულებითი მუშაობა დაქირავებით მომუშავე პირთათვის, რომელიც მუშაობაც სრულდება იძულებითი მუშაობის მომხდელი პირის მუშაობის ან სამსახურის ადგილას და რომლისათვისაც სასყიდელი იძულებითი მუშაობის შესრულების დროის განმავლობაში ვაიცემა სამუშაო ხელფასის სახელმწიფო მინიმუმის მიხედვით, რაც დაწესებულია ამა თუ იმ ადგილისათვის.

შენიშვნა. სასამართლოს სპეციალური გადაწყვეტილებისამებრ დაქირავებით მომუშავე პირი შეიძლება, იმ ვადის მიხედვით, რა ვადითაც მას მიესაჯა იძულებითი მუშაობა დაუპატიმრებლად, ვაიგზავნოს ამა მუხლის „ა“ ან „ბ“ პუნქტში გათვალისწინებულ სამუშაოზე.

მუხ. 42. დაუპატიმრებლად იძულებითი მუშაობის ორგანიზაციისა და განხორციელებისათვის საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის ადმინისტრაციულ განყოფილებასთან (ხოლო იქ, სადაც ადმინისტრაციული განყოფილება მოწყობილი არ არის—მილიციის სათანადო სამმართველოსთან) არსებობს იძულებითი მუშაობის საოლქო (სამაზრო) ბიურო, რომელშიაც შედიან ადმინისტრაციული განყოფილების გამგე (მილიციის უფროსი) შრომის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოს წარმომადგენელი და თავისუფლების აღკვეთის ადგილის უფროსი; ბიურო მოქმედობს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობით საპატიმრო ადგილების სამმართველოს საერთო დირექტივებისა და ინსტრუქციების თანახმად.

მუხ. 43. საოლქო (სამაზრო) ცენტრის გარეშე დაუპატიმრებლად იძულებითი მუშაობის ორგანიზაციისა და განხორციელებისათვის იმ პუნქტში, სადაც საპატიმრო ადგილია, შეიძლება მოეწყოს იძულებითი მუშაობის ბიუროს განყოფილება სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ განსაზღვრული შედგენილობით; განყოფილება მოქმედობს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტისა და ზემდგომი ცენტრის იძულებითი მუშაობის ბიუროს დირექტივების თანახმად.

მუხ. 44. ისეთ რაიონში და სოფელში, სადაც საპატიმრო ადგილი არ არის, იძულებითი მუშაობის ორგანიზაცია და განხორციელება დაეკისრება უშუალოდ: რაიონში—სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, ხოლო სოფელ ადგილას—სასოფლო საბჭოს, რომელიც ამ სფეროში მოქმედობს სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დირექტივებით და ხელმძღვანელობით. აღნიშნულ ორგანოებს იძულებითი მუშაობის ბიუროების განყოფილების უფლებები ეძლევათ, თანაც მათი საერთო ინსტრუქტირება განხორციელდება საპატიმრო ადგილების სამმართველოს მიერ.

მუხ. 45. იძულებითი მუშაობის ბიუროს და ბიუროს განყოფილების შენახვის ხარჯს, აგრეთვე იძულებითი მუშაობის განხორციელების ხარჯს დაფარავს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი და აგრეთვე საქალაქო თუ სასოფლო საბჭო იმ პირთა სამუშაო ხელფასის ანარიცხიდან, რომელნიც იხდიან იძულებით მუშაობას დაუპატიმრებლად (მუხ. 52), და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ იმ საწარმოთა და სახელოსნოთა ბრუნვის პროცენტული ანარიცხებიდან, რაც მოეწყობა იძულებითი მუშაობის მომხდელ პირთა შრომის გამოსაყენებლად (მუხ. 55).

მუხ. 46. იძულებითი მუშაობის ბიუროს ან მის განყოფილებას და აგრეთვე იმ დაწესებულებას, რომელსაც მინიჭებული აქვს ბიუროს განყოფილების უფლება დაეკისრება:

ა) აღნუსხოს ის პირნი, რომელთაც მისჯილი აქვთ იძულებითი მუშაობა დაუპატიმრებლად;

ბ) მოაწყოს სამეურნეო ანგარიშზე საწარმო და სახელოსნო, რათა გამოყენებულ იქნეს იმ პირთა შრომა, რომელნიც იხდიან სამ თვეზე მეტი ვადით დანიშნულ იძულებითს მუშაობას და რომელნიც, როგორც წესი, აუცილებლად უნდა გაიგზავნონ აღნიშნულ საწარმოში;

შენიშვნა. იძულებითი მუშაობის ბიუროს უფლება ეძლევა გაგზავნოს აღნიშნულ საწარმოში სხვა პირიც, რომელსაც იძულებითი მუშაობა გადაწყვეტილი აქვს ნაკლები ვადით, უკეთეს მისი საცხოვრებელი ადგილი იმავი რაიონშია, სადაც ეს საწარმო მდებარეობს.

გ) განაწილოს სამუშაოზე ის პირნი, რომელნიც იხდიან იძულებითს მუშაობას დაუპატიმრებლად და რომელნიც მათ აღნუსხვაზე არიან, — თანახმად საამისოდ რწმუნებამოსილ ორგანოთა განაჩენისა ან დადგენილებისა და ამ პირთა ფიზიკური ვარგისობისა და კვალიფიკაციის მიხედვით;

დ) საერთო ზედამხედველობა გაუწიოს იძულებითი მუშაობის მომხდელ პირთა მიერ იმ წესების დაცვას, რაც დადგენილია დაუპატიმრებლად იძულებითი მუშაობის მოხდის დროისათვის;

ე) დაუპატიმრებლად იძულებითი მუშაობა-მისჯილ პირთა გადაყვანა იძულებითი მუშაობის ბიუროს ან მისი განყოფილების განკარგულებაში აღნიშნულ პირთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხ. 47. იძულებითი მუშაობის ბიუროს ან მისი განყოფილების განკარგულებაში გაიგზავნება:

ა) ის პირი, რომელსაც იძულებითი მუშაობა დაუპატიმრებლად გადაეწყვიტა სასამართლოს განაჩენით ან და ადმინისტრატიული ორგანოს დადგენილებით;

ბ) ის პირი, რომელსაც თავისუფლების შემდგომი აღკვეთა შეეცვალა იძულებით მუშაობად დაუპატიმრებლად.

მუხ. 48. ის პირი, რომელიც იძულებითი მუშაობის ბიუროს ან მისი განყოფილების სამყოფელ ადგილას ცხოვრობს და რომელსაც იძულებითი მუშაობა გადაეწყვეტილი აქვს ვადით არა უმეტეს სამი თვისა, მოიხდის ამ მუშაობას თავის საცხოვრებელ ადგილას იმ დასახლებული პუნქტის ფარგლებში, სადაც იგი ცხოვრობს ან და უახლოეს პუნქტში, ხოლო არა უშორეს ათი კილომეტრისა საცხოვრებელი ადგილიდან.

აღნიშნული მუშაობის შესასრულებლად იძულებითი მუშაობის ბიურო ან ბიუროს განყოფილება გაგზავნის იძულებითი მუშაობა-მისჯილ პირს საპატიმრო ადგილების სამმართველოს და სათანადო ადგილობრივი ორგანოს საწარმოში, ხოლო უკეთეს მისი შრომის გამოყენება ამ საწარმოში შეუძლებელი იქნება—სამუშაოზე სხვა დაწესებულებაში თუ საწარმოში ამ უკანასკნელთან შეთანხმებით.

უკეთეს ამა მუხლის 1-ლ ნაწილში აღნიშნული პირი ცხოვრობს ისეთ ადგილას, სადაც იძულებითი მუშაობის ბიურო ან მისი განყოფილება არ არის, იგი იმ დაწესებულების მიერ, რომელიც დაუპატიმრებლად იძულებითი მუშაობის საქმეს განაგებს, გაიგზავნება საზოგადოებრივ-სასარგებლო მნიშვნელობის სამუშაოზე (ხიდების, სკოლების, გზების, საბავშვო სახლების, სააგრონომიო და სავეტერინარო პუნქტების და სამკითხველოების რემონტი და სხვა სამუშაო ამა თუ იმ ადგილის კეთილმოწყობისათვის), რაც ამა თუ იმ სასოფლო საბჭოს რაიონში სწარმოებს, და აგრეთვე გლახთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების კომიტეტის განკარგულებაში, რათა იგი გაგზავნილ იქნეს სამუშაოდ წითელ არმიელთა მეურნეობაში ან მცირეძალოვან საგლეხო მეურნეობაში.

იმ ორგანოს, რომელიც იძულებითი მუშაობის საქმეს განაგებს, უფლება ეძლევა იძულებითი მუშაობის მომხდელ პირს, მისი ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, დაავალოს სამუშაოზე გამოცხადება თავისი კუთვნილი ინსტრუმენტებითა და ინვენტარით.

შენიშვნა 1. უკეთეს ის პირი, რომელსაც იძულებითი მუშაობა გადაეწყვიტა, სხვაქალაქელია და თავისი ოჯახი სხვა ადგილას დატოვა, იგი იძულებითი მუშაობის მოსახდელად, მისი განცხადების მიხედვით, შეიძლება გაიგზავნოს თავის საცხოვრებელ ადგილას.

შენიშვნა 2. ის ქალი, რომელიც დაუპატიმრებლად იძულებით მუშაობას იხდის, ორსულობის მეხუთე თვიდან არ შეიძლება, მისი თანხმობის გარეშე, გაიგზავნოს სამუშაოზე თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გარეთ.

მუხ. 49. ის პირი, რომელსაც გადაეწყვიტა იძულებითი მუშაობა დაუპატიმრებლად სამ თვეზე მეტი ვადით, აუცილებლად უნდა გაიგზავნოს იმ საწარმოში, რაც მოწყობილია იძულებითი მუშაობის მომხდელ პირთა შრომის გამოსაყენებლად და რაც მდებარეობს იმ ადმინისტრატიული ერთეულის ცენტრში, რომელშიაც შედის აღნიშნული პირის საცხოვრებელი ადგილი.

განსაკუთრებულ შემთხვევაში იძულებითი მუშაობის საოლქო (სამაზრო) ბიუროს უფლება აქვს ის პირი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს იძულებითი მუშაობა სამ თვეზე მეტი ვადით, გაგზავნოს ოლქის (მაზრის) ან რაიონის ფარგლებს გარეთაც, ხოლო იმ აუცილებელი პირობით, რომ აღნიშნულ პირს ამ შემთხვევაში უნდა აენახლაუროს სამგზავრო ხარჯი.

მუხ. 50. დაუპატიმრებლად იძულებითი მუშაობა-მისჯილი პირი ვალდებულია გამოცხადდეს აღმუსხვისათვის იმ ორგანოში, რომელიც განაგებს იძულებითი მუშაობის საქმეს არა უგვიანეს ორი კვირისა განაჩენის ან სათანადო დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.

დაქირავებით მომუშავე პირი აღნუსხვაზე აყვანის დროს მიიღებს დირექტივებს თავისი მუშაობის შესახებ და დოკუმენტებს, რომელიც მან უნდა წარადგინოს თავისი სამსახურის ადგილას, რათა მისი სამუშაო ხელფასიდან გადაიდოს ხოლმე ანარიცხი იმ ორგანოს სალაროსათვის, რომელიც განაგებს იძულებითი მუშაობის საქმეს (მუხ. 52), და რათა წარმოებულ იქნეს მისი მუშაობის აღნუსხვა.

ყველა ის პირი, რომელიც იგზავნება სამუშაოზე არა თავის სამსახურის ადგილას, აღნუსხვაზე აყვანის შემდეგ ვალდებულია გამოცხადდეს იმ დაწესებულების უწყებით, რომლის აღნუსხვაზედაც იგი იმყოფება, და იმ ვადაზე, რაც აღნიშნულია უწყებაში.

უკეთუ იმ პირი, ვისაც გადაწყვეტილი აქვს იძულებითი მუშაობა დაუპატიმრებლად, არ გამოცხადდა აღრიცხვაზე ან უკეთუ იგი დაბარებისამებრ არ გამოცხადდა, მას იძულებითი მუშაობის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ დაედება გადასახდელი ამა კოდექსის 60 მუხლის თანახმად.

აღნუსხვაზე აყვანის დროს იძულებითი მუშაობის მომხდელს დაენიშნება მუშაობის დრო და ადგილი. უკეთუ მუშაობის ადგილისა და დროის დანიშნვა აღნუსხვაზე აყვანისას შეუძლებელია, შემდგომი დაბარება აღნუსხვაზე აყვანისას სამუშაოზე დასანიშნავად, უნდა მოხდეს ერთხელ მაინც თვეში იმ პირისათვის, რომელიც იძულებითი მუშაობას იხდის თანახმად სასამართლოს განაჩენისა, და ერთხელ მაინც ორ კვირაში იმ პირისათვის, ვისაც იძულებითი მუშაობა გადაეწყვიტა ადმინისტრატიული წესით.

უკეთუ იძულებითი მუშაობის მომხდელი პირი ასრულებს ყველა მისთვის დადგენილ წესებს, ის დრო, რაც გავიდა მეორეთ დაბარების მომენტიდან სამუშაოზე დანიშნვის დღემდე, ჩაითვლება განაჩენით თუ დადგენილებით გადაწყვეტილი იძულებითი მუშაობის ვადაში.

შენიშვნა. უკეთუ ამა თუ იმ პირის დანიშვნა იძულებით მუშაობაზე შეუძლებელია მისი ქრონიკული ავადმყოფობისა ან ინვალიდობის გამო, რაც დადასტურებულ უნდა იქნეს საექიმო მოწმობით, ის დაწესებულება, რომელიც იძულებითი მუშაობის საქმეს განაგებს, აღძრავს შუამდგომლობას განაჩენის თუ დადგენილების გამომტანი ორგანოს წინაშე, რათა იძულებითი მუშაობა შეცვლილ იქნეს სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებად. ამ შემთხვევაში აღნუსხვაზე ყოფნის დრო ჩაითვლება იმ ღონისძიების ვადაში, რაც დანიშნული იქნება იძულებითი მუშაობის ნაცვლად.

მუხ. 51. იმ პირთა შრომის პირობები, რომელნიც იხდიან იძულებით მუშაობას დაუპატიმრებლად არა თავის სამუშაო ადგილას თუ სამსახურის ადგილას, მოწესრიგდება, ამა კოდექსის გარდა, შრომის კანონთა კოდექსის შემდეგი მუხლებით: მუხ. 94 (უშენიშვნოდ), 95 (პუნქტი „გ“-ს გამოკლებით), 96 მუხლის 1-ლი ნაწილი, მუხ. 100, 103, 104 (უშენიშვნოდ), 105—109, 111, 112, 113 (ის ნაწილი, რომელიც სამუშაო დღის ხანგრძლივობას შეეხება), 129—134, 136 (იმ ნაწილის გარდა, სადაც დასახელებულია 135 მუხლი), 138—141, 142 (უშენიშვნოდ) 143, 144 და აღნიშნული მუხლების განსაკუთრებლად შრომის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული დადგენილებით.

მუხ. 52. ის პირი, ვინც იხდის იძულებითს მუშაობას თავის სამუშაო ადგილას ან სამსახურის ადგილას, იძულებითი მუშაობის მოხდის დროის განმავლობაში მიიღებს თავისი სამუშაო ხელფასიდან თანხას ამ ადგილისათვის დადგენილი სამუშაო ხელფასის სახელმწიფო მინიმუმის რაოდენობით.

მთლად დანარჩენი თანხა, რაც სამუშაო ხელფასის ან დატვირთვის სახით ერგება იძულებითი მუშაობის მომხდელ პირს, შედის იძულებითი მუშაობის ბიუროში, მის განყოფილებაში ან იმ დაწესებულებაში, რომელსაც მინიჭებული აქვს იძულებითი მუშაობის ბიუროს განყოფილების უფლებები.

მუხ. 53. იძულებითი მუშაობის მომხდელი ყველა პირი, 52 მუხლში დასახელებულ პირთა გარდა, როგორც წესი, იხდის აღნიშნულ მუშაობას უსასყიდლოდ. ამ წესის გამონაკლისად, დაუპატიმრებლად იძულებითი მუშაობის მომხდელ პირს, მიეცემა შრომის სასყიდელი სამუშაო ხელფასის სახელმწიფო მინიმუმის ფარგლებში, უკეთეს სასამართლოს განაჩენით ან აღმინისტრაციული ორგანოს დადგენილებით ცნობილია, რომ მას არა აქვს არავითარი საარსებო წყარო და ამიტომ შრომის სასყიდელი უნდა მიეცეს.

შენიშვნა. თავისი ინვენტარისა და ინსტრუმენტისათვის, რომლითაც საამისოდ ვალდებული იძულებითი მუშაობის მომხდელი პირი სამუშაოზე გამოცხადდება, ეს პირი არავითარ გასამრჯელოს არ მიიღებს, გარდა კომპენსაციისა ამ ინვენტარის თუ ინსტრუმენტის ცვეთისათვის. იმ სულიერი ინვენტარის გამოყენების დროს, რომელიც ეკუთვნის იძულებითი მუშაობის მომხდელ ღარიბ და საშუალო გლეხს, გადახდილ უნდა იქნეს ფურაჟის ღირებულება არსებული ნორმების მიხედვით.

მუხ. 54. იძულებითი მუშაობის მომხდელ პირთა ხელფასის ანარიცხიდან შემოსული თანხა შეადგენს იმ ორგანოთა სპეციალურ ფონდს, რომლებიც განაგებენ იძულებითი მუშაობის საქმეს.

აღნიშნული ფონდის გამგებლობა დაეკისრება საპატიმრო ადგილების სამმართველოს, ხოლო ოლქში (მაზრასში) და რაიონში — სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს.

ამა მუხლში აღნიშნული ფონდი გამოიყენება იძულებითი მუშაობის განხორციელების ხარჯისათვის და იძულებითი მუშაობა-მისჯილ პირთა შრომის გამოსაყენებლად საჭირო სახელოსნოთა და სიწარმოთა სამეურნეო ანგარიშზე მოწყობისათვის.

მუხ. 55. 44 მუხლში აღნიშნულ საწარმოთაგან მიღებული წმინდა შემოსავალი წლის ბოლოს განაწილდება შემდეგნაირად:

- ა) 70% — იძულებითი მუშაობის ბიუროს და ბიუროს განყოფილების საწარმოთა გასაფართოებლად;
- ბ) 15% — პატიმართა და საპატიმრო ადგილებიდან განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტს;
- გ) 10% — საპატიმრო ადგილების სამმართველოს პენიტენციალური ფონდისათვის;

დ) 5% — საპატიმრო ადგილების სამმართველოს და სათანადო ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების ფონდს იმ თანამშრომელთათვის პრემიალური გასამრჯელოს მისაცემად, რომელნიც ანხორციელებენ იძულებითს მუშაობას და რომელნიც დაკერილ არიან საწარმოში თუ სამუშაოზე.

მუხ. 56. დაწესებულება, საწარმო და მეურნეობა, სადაც დატოვებულ იქნება სამუშაოდ მისი მუშა თუ მოსამსახურე, რომელიც იხდის იძულებითს მუშაობას დაუპატიმრებლად, ვალდებულია დაუჭიროს უკანასკნელს დაწესებული ანარიცხი (მუხ. 52) და გადასცეს იგი პირველი მოთხოვნისთანავე იმ დაწესებულებას, რომელიც იძულებითი მუშაობის საქმეს განაგებს.

ის დაწესებულება, საწარმო და მეურნეობა, სადაც სამუშაოდ არის იძულებითი მუშაობის მომხდელი პირი, ვალდებულია აცნობოს იმ დაწესებულებას, რომელიც იძულებითი მუშაობის საქმეს განაგებს, — მისი მოთხოვნისამებრ, — აღნიშნული პირის მიერ თავისი მოვალეობის ფაქტიურად შესრულება.

მუხ. 57. დაუპატიმრებლად იძულებითი მუშაობის მომხდელ პირს დაეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით გათვალისწინებული წესისამებრ, იმ მასალის და ინსტრუმენტის დაუდევრობით თუ განზრახ გაფუჭებისათვის, რაც დანიშნულია მუშაობაში მოსახმარებლად და რაც სათანადო დაწესებულებებს თუ საწარმოს მიერ აღნიშნულ პირს გადაეცემა.

მუხ. 58. იმ პირს, რომელიც იძულებითი მუშაობის ბიუროს ან მისი განყოფილების აღნუსხვაზე იმყოფება, უფლება არა აქვს აღნიშნულ ორგანოთა ნებადაურთველად გადაიდეს სხვა სამუშაოზე, და შეუძლიან გამოიცვალოს საცხოვრებელი ადგილი მხოლოდ იძულებითი მუშაობის ბიუროს ნებართვით.

მუხ. 59. შევებულება ავადმყოფობისა და მშობიარობის გამო დაუპატიმრებლად იძულებითი მუშაობის მომხდელ პირს მიეცემა მხოლოდ საპატიმრო ადგილის სამედიცინო ინსპექციისა და ჯანმრელობის დაცვის სათანადო ადგილობრივი ორგანოს მოწმობით.

მუხ. 60. იძულებითი მუშაობისათვის თავის არიდებისა, რეგისტრაციაზე გამოუცხადებლობისა, დადგენილი წესების შეუსრულებლობისა, მუშაობაში მოსახმარებლად დანიშნული მასალის და ინსტრუმენტის დაუდევრობით თუ განზრახ გაფუჭებისა, არაპატივისცემის მიზეზის გარეშე სამუშაოზე ინვენტარით და ინსტრუმენტით გამოცხადებაზე უარის თქმისა და აგრეთვე სამუშაოს არაკეთილსინდისიერი შესრულებისათვის დადებულ უნდა იქნეს შემდეგი გადასახდელი:

- ა) უფრო მძიმე სამუშაოზე გადაყვანა;
- ბ) იმ დროის არ ზათვლა ვადაში, რომლის განმავლობაშიაც მუშაობა დაუდევრად სრულდებოდა ან რომელიც თვითნებისად გაცდენილ იქნა;
- გ) დაპატიმრება დისციპლინარული წესით — ვადით 14 დღედაღამემდე, სასამართლოს წინაშე სოციალური დაცვის ღონისძიების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის აღძროთ ან უამისოდ.

შენიშვნა. გადასახდელს დაადებს იმ დაწესებულების გამგე, რომელიც იძულებითს მუშაობას ანხორციელებს და რომლის აღნუსხვაზედაც უწყებელი პირი იმყოფება.

მუხ. 61. დაწვრილებით წესებსა და ინსტრუქციებს იძულებითი მუშაობის ორგანიზაციისათვის და მის რეეიშისათვის, აგრეთვე ამ მუშაობის მოხდის წესებს შეიმუშავენ საპატიმრო ადგილების სამმართველო დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

150. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ საქოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსისათვის XXVII³ თავის „—საკრედიტო დაწესებულებებში მიმდინარე ანგარიშებზე და ანაბარებზე უდავო წესითი გადახდევინების მიქცევისათვის ნებართვის გაცემის წესის“ — დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. № 1-ლი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

1. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატოს XXVII³ თავი შემდეგი შინაარსისა:

თ ა ვ ი XXVII³.

საკრედიტო დაწესებულებებში მიმდინარე ანგარიშებზე და ანაბარებზე უდავო წესითი გადახდევინების მიქცევისათვის ნებართვის გაცემის წესის შესახებ.

234¹⁷. უკეთეს გადახდევინება სწარმოებს კანონისამებრ უდავო წესით და საჭიროა ეს გადახდევინება მიქცეულ იქნეს იმ მიმდინარე ანგარიშზე და ანაბარზე, რაც საკრედიტო დაწესებულებაშია, გადახდევინების მიმქცევი ორგანო თავის დადგენილებას გადახდევინების შესახებ წარადგენს სახალხო სასამართლოში, საკრედიტო დაწესებულების სამყოფელი ადგილის მიხედვით, გადახდევინების მიქცევისათვის ნებართვის მისაღებად.

234¹⁸. სახალხო სასამართლოში წარსადგენ დადგენილებაში აღნიშნული უნდა იყოს: ა) ვის უნდა გადაჰხდეს თანხა; ბ) რა საფუძველზე სწარმოებს გადახდევინება; გ) რომელ საკრედიტო დაწესებულებაშია ის თანხები, რაზედაც უნდა მიიქცეს გადახდევინება.

234¹⁹. ნებართვის გაცემის საკითხის თაობაზე სახალხო მოსამართლე გამოიტანს ერთპიროვნად გადაწყვეტილებას, რომლის ასლიც გაეგზავნება გადახდევინების მწარმოებელ დაწესებულებას. ეს უკანასკნელი ამ გადაწყვეტილების თანახმად უშუალოდ მიმართავს სათანადო საკრედიტო დაწესებულებას მოთხოვნით.

234²⁰. ზემოაღნიშნული წესითვე მიეცემა იმ ორგანოს, რომელსაც უდავო გადასახდევინებელი აქვს, ნებართვა იმ ცნობების მიღებისათვის, რაც ეხება მოვალის მიმდინარე ანგარიშსა და ანაბარს საკრედიტო დაწესებულებაში.

2. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის მე-3 პუნქტი (კან. კრ. 1929 წ. მე-13 №-ი, მუხ. 131).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-

რულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბ-

ჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-

ლებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

151. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სოფლის აგრონომიულ რწმუნებულთა დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება სოფლის აგრონომიულ რწმუნებულთა შესახებ.

2. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ ანალოგიური დებულებანი.

3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. იანვრის 6-ის დადგენილებით დამტკიცებული „სასოფლო საბჭოებთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების დებულების“ მე-18 მუხ. (კან. კრ. 1930 წ. მე-3 №-ი, მუხ. 31) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ- 18. აგრორწმუნებულნი მოქმედობენ განსაკუთრებული დებულების თანახმად“.

4. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 5-ის დადგენილება „აგრორწმუნებულთა ინსტიტუტის დაარსების შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. მე-11 №-ი, მუხ. 94.).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. მაისის 6.

ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სოფლის აგრონომიულ რწმუნებულთა შესახებ.

რათა ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასები უშუალოდ ჩაებნენ მოსავლიანობის გასაადიდებლად წარმოებულ მუშაობაში და აგრეთვე რათა საზოგადოებრივი კონტროლი გაეწიოს ცალკეული მეურნეობების მიერ იმ აგროტექნიკურ გაუმჯობესებათა სისწორით და თავის დროზე განხორციელებას, რაც საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების წესით უნდა იქნეს გატარებული, და სავალ-

დებულო აგრო-დადგენილებათა შესრულებას, არსდება სოფლის აგრონომიულ რწმუნებულთა (აგრორწმუნებულთა) ინსტიტუტი შემდეგ საფუძვლებზე:

1. ყოველი სოფელი, კოლექტიური მეურნეობა, კოოპერატიული შენაერთი და სასოფლო ამხანაგობა (სასოფლო-სამეურნეო საწარმოო შენაერთი) ირჩევს აგრორწმუნებულთ.

2. აგრორწმუნებულნი აირჩევიან კოლექტიურ მეურნეობათა, კომკავშირისა, ქალთა დელეგატებისა, მოჯამაგირეთა, ღარიბთა და საშუალო გლეხთა აქტივის ისეთ პირთაგან, რომელნიც ცნობილ არიან აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეებად, რომელთაც იციან სოფლის მეურნეობა და რომელთაც მოპოებული აქვთ გლეხთა შორის ავტორიტეტი და ნდობა.

3. აგრორწმუნებულთა არჩევაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ საარჩევნო უფლების მქონე პირნი.

4. აგრორწმუნებულნი აირჩევიან ერთი წლის ვადით; ხოლო ამომრჩეველთ უფლება აქვთ ვადის გასვლამდე უკან გაიწვიონ ისინი უმოქმედობისათვის.

5. აგრორწმუნებულნი აირჩევიან სოფლის საერთო კრებაზე ისეთი ვარაუდით, რომ 50 კომლზე მოდიოდეს ერთი აგრორწმუნებული, ხოლო იმ სოფელში, სადაც 50 კომლზე ნაკლები მოსახლეობაა, აირჩევა ერთი აგრორწმუნებული.

შენიშვნა. კოლექტიურ მეურნეობებში, კოოპერატიულ შენაერთებში და სასოფლო ამხანაგობებში აგრორწმუნებულნი აირჩევიან სათანადო შენაერთის საერთო კრებაზე.

6. აგრორწმუნებულნი მუშაობენ სასოფლო საბჭოებთან არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების უშუალო ხელმძღვანელობით და ადგილობრივი აგრონომის მეთვალყურეობით. აგრორწმუნებულნი მოვალენი არიან ანგარიში წარუდგინონ სასოფლო საბჭოებს და თავიანთ ამომრჩეველებს.

შენიშვნა. სასოფლო საბჭოს შეუძლიან როცა სურს მაშინ მოსთხოვოს აგრორწმუნებულს მისი მუშაობის ანგარიში, ხოლო ამომრჩეველებს ანგარიშს ისინი წარუდგენენ წელიწადში ორჯერ მაინც.

7. აგრორწმუნებულთ დაეკისრებათ:

ა) თვალყური ადევნონ, რათა ცალკეულმა მეურნეობებმა და მათმა შენაერთებმა განახორციელონ სასოფლო საბჭოს ყველა ის დადგენილება, რაც მიმართულია სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისათვის;

ბ) მოაწყონ ორგანიზაციულად ღარიბთა და საშუალო გლეხთა მასები მათი მეურნეობის კოლექტივიზაციის განსახორციელებლად, მოსავლიანობის გასადიდებლად, ნათესი ზივრცის გასადიდებლად და მეურნეობის წარმოების ტენიკის გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებათა ჩატარებისათვის;

გ) შეამოწმონ აგრომინიმუმისა და სხვა იმ აგროკულტურულ-საწარმოო ხასიათის ვალდებულებათა აღსრულება, რაც იკისრეს ცალკეულმა მეურნეობებმა და მათმა შენაერთებმა, აგრეთვე შეამოწმონ საერთო კრებისა, საწარმოო თათბირებისა და სხვ. დადგენილებების აღსრულება, რამდენადაც ეს დადგენილებები ეხება მოსავლიანობის გადიდებისა და მეურნეობის წარმოების ტენიკის გაუმჯობესებას.

8. უკეთუ ცალკეული მეურნეობები და მათი შენაერთები სისწოროთ არ შეასრულებენ აგრო-საწარმოთ მოთხოვნათ, აგრორწმუნებული მისცემს მათ სათანადო დირექტივებს მის მიერ უახლოეს აგრონომისაგან მიღებული ინსტრუქციის საფუძველზე.

უკეთუ ცალკეული მეურნეობები და მათი შენაერთები არ შეასრულებენ მათ მიერ ნაკისრებ აგრო-საწარმოო ხასიათის ვალდებულებებს თუ დადგენილებებს, აგრორწმუნებული აცნობებს ამას სასოფლო საბჭოს, აგრონომს ან სოფლის მოქალაქეთა საერთო კრებას სათანადო ზეგავლენის ღონისძიებათა მისაღებად.

9. აგრორწმუნებულნი შედიან სასოფლო საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირის შედგენილობაში ამ თათბირის წევრთა უფლებით.

10. აგრორწმუნებულნი უახლოესი თანაშემწენი არიან აგრონომისა, რომლისაგანაც ისინი მიიღებენ მათი მუშაობისათვის საჭირო ყველა დირექტივას და განმარტებას.

11. აგრორწმუნებულთა სოფლად მუშაობისა და გამოცდილების გაერთიანებისა და შეჯამებისათვის სასოფლო საბჭოებთან და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან პერიოდულად, საგაზაფხულო და საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიების წინ, მოიწვევა აგრორწმუნებულთა თათბირები.

12. ადგილობრივი საადგილმამულო ორგანოების აგრონომიულ პერსონალს დაეკისრება ხელმძღვანელობა და ინსტრუქტირება გაუწიოს აგრორწმუნებულთა და აღმოუჩინოს მათ დახმარება საყოველღეო პრაქტიკულ მუშაობაში.

13. აგრორწმუნებულნი იღებენ იმ ორგანიზაციის ხარჯით, რომლისაგანაც ისინი არიან არჩეულნი, გაზეთს „ახალი სოფელი“ და ბროშურებს სოფლის მეურნეობის ტექნიკის ამა თუ იმ საკითხის შესახებ, რამდენადაც ამას აქვს არსებითი მნიშვნელობა მათი მოქმედების რაიონისათვის.

14. აგრორწმუნებულნი მუშაობენ საზოგადოებრივი დატვირთვის წესით და მათ გასამრჯელო არ ეძლევათ.

იმ აგრორწმუნებულს, რომელიც გამოიჩინეს განსაკუთრებულ აქტიობას მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა აღსრულების სფეროში, სასოფლო საბჭოს დადგენილებით, შიძლება მიენიქოს ისეთი შეღავათი და უპირატესობა, რაც ხელს შეუწყობს მისი მეურნეობის გაუმჯობესებას, როგორც არის მაგალითად: მიღება პირველ რიგში წმინდა ჯიშის თესლისა, სესხისა შეღავათიან პირობებზე, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სხვ.

ხოლო კოლექტიურ მეურნეობასთან მომქმედ აგრორწმუნებულს შეიძლება მიეცეს გასამრჯელო საპრემიო ფონდიდან საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით.

152. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ახალქალაქის მაზრაში საიალალო კომიტეტის მოწყობის შესახებ.

„საიალალო კომიტეტის მოწყობის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 18-ის დადგენილების მე-2 მუხ. თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-4 №-ი, მუხ. 42) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მოეწყოს ახალქალაქის მაზრაში საიალალო კომიტეტი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით და ისეთი შედგენილობით, რაც გათვალისწინებულია „საიალალო კომიტეტების მოწყობის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების მე-3 მუხლის „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი**.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია**.

1930 წ. მაისის 6.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 140 №-ში 1930 წ. ივნისის 6.

153. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 171¹ მუხ. დამატებისა და ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დევნის წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 171¹ მუხ. შემდეგი შინაარსისა: მუხ. 171¹. „ქალის შეცდენა სქესობრივი კავშირისათვის, უკეთუ ეს ჩადენილია ქორწინების სარეგისტრაციოდ დაწესებული ფორმის გამოყენებით, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე“.

II

სისხლის სამართლის კოდექსის 171¹ მუხ. გათვალისწინებული დანაშაულის საქმე აღიძრება და მოისპობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლში აღნიშნული წესის მიხედვით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი**.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია**.

1930 წ. მაისის 6.

ტფილისი—სასახლე.

154. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამხედრო დანაშაულთა დებულების (სისხლის სამართლის კოდექსის დანართი) 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის შეცვლის შესახებ.

„სამხედრო დანაშაულთა დებულების 1-ლი მუხლის შეცვლის თაობაზე“ 1930 წ. თებერვლის 16-ს გაცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-15 №-ი, მუხ. 159) თანახმად და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხ. (სსსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) წესისამებრ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამხედრო დანაშაულთა დებულების (სისხლის სამართლის კოდექსის დანართი) 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილი (სსსრ კან. კრ. 1929 წ. მე-17 №-ი, მუხ. 184) შეიცვალოს შემდეგნაირად:

„მუხ. 1. ნაწ. 2. სამხედრო დანაშაულად ჩაითვლება აგრეთვე სამსახურის შესრულებისათვის დადგენილი წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რასაც ჩაიდენს გზათა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული შეიარაღებული რაზმის (რეზერვის) სამწყობრო შედგენილობის პირი, აგრეთვე სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე საწარმოთა და ნაგებობათა დამცველი გამხედროებული რაზმისა და სახანძრო დამცველი გამხედროებული რაზმის პირი“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი**.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია**.

1930 წ. მაისის 6.

ტფილისი—სასახლე.

155. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლისათვის „უ“ პუნქტის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის (კან. კრ. 1928 წ. მე-18 №-ი, მუხ. 157) დამატოს „უ“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„პუნ. „უ“. დოკუმენტს, რომლითაც მტკიცდება მუშაობით დაუფარავი ავანსისა და გაცემული გზის ფულის რაოდენობა და სპეცტანსაცემლის ლირებულება, — ისეთ შემთხვევაში, როდესაც მუშებმა ან ხეტყის დამმზადებელი არტელის თუ წყალსატივტივო სამუშაოთა არტელის წევრებმა თავი დაანებეს ხეტყისა და შეშის დამმზადებელი და წყალსატივტივო სამუშაოთა ორგანიზაციების მიერ წარმოებულ ხეტყისა და შეშის დამმზადებისა და წყალსატივტივო სამუშაოებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაზე ადრე ან ხელშეკრულებით შეპირებული დავალების შესრულებამდე, უკეთუ, ამასთანავე სათანადო ორგანიზაციის მმართველობის ორგანო წარადგენს: 1) დოკუმენტს ავანსისა, გზის ფულისა და სპეცტანსაცემლის გაცემის შესახებ, ხეტყისა და შეშის დამმზადებელი ორგანიზაციის მმართველობის ორგანოს მიერ დამოწმებული ასლებითურთ; 2) სამუშაოთა წარმოების ხელშეკრულების ასლს და 3) ხეტყისა და შეშის დამმზადებელი ორგანიზაციის მმართველობის ორგანოს იმ დადგენილების ასლს, რომლითაც პრეტენზია გადაცემულია გადასახდევინებლად აღსრულების წარწერის წესით, გადასახდევინებელი თანხის გამოანგარიშების აღნიშვნით“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. გ. მაგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. მაისის 6.

ტიფლისი—სასახლე.

156. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 290 მუხლის „ბ“ პუნ. რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 290 მუხლის „ბ“ პუნქტი გილებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) იმ თანხიდან, რაც სამუშაო ხელფასის მინიმუმს აღემატება, შეიძლება დაჭერილ იქნეს არა უმეტეს 50%-ისა, უკეთეს გადასახდევინებელია თანხა ოჯახის წევრთა შესახებ ან მუშაობით დაუფარავი ავანსის და გაცემული გზის ფულისა და სპეცტანსაციების ღირებულების ასანაზღაურებლად, ისეთ შემთხვევაში, როდესაც მუშებმა ან შეშის დამმზადებელი არტელის თუ წყალსატივტივო სამუშაოთა არტელის წევრებმა თავი დაანებეს ხეტყისა და შეშის დამმზადებელი და წყალსატივტივო სამუშაოთა ორგანიზაციების მიერ წარმოებულ ხეტყისა და შეშის დამმზადებისა და წყალსატივტივო სამუშაოებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაზე ადრე ან ხელშეკრულებით შეპირებული დავალების შესრულებაამდე, და არა უმეტეს 20%-ისა ყველა სხვაგვარი გადასახდელისათვის“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღ-
მასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-
სრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. მაისის 6.
ტფილისი—სასახლე.

სენატორი ალგასრულაველი კომიტეტის დადგენილება.



157. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც. ა. კ.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის განყოფილების სამდღიურის ჩატარების შესახებ“.

დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის განყოფილების მატერიალური სახსრის გაძლიერებისა და ხსენებულ ორგანოს მიერ დასახულ მიზნების და იდეების პოპულარიზაციისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს მოაწყოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის განყოფილების სასარგებლოდ სამდღიური 1930 წლის ივნისის 10, 11 და 12 ამ დადგენილების ქვემოაღნიშნულ მუხლებში გათვალისწინებულ სფუქველზე.

2. აღნიშნული ვადის (ივნისის 10-12) განმავლობაში ნება დაერთოს:

ა) შეაგროვოს ყულაბებით ნებაყოფლობითი გამოსაღები ყველგან ქუჩებში, საჯარო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულებების სადგომებში;

ბ) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

გ) გამართოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები ხსენებული განყოფილების მიზნების შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეუძლიან გამოიყენოს საზოგადოებრივი აუდიტორიები და კინო-თეატრის სადგომები, აგრეთვე რადიო-გადაცემა.

3. შემოღებულ იქნეს სამდღიურის განმავლობაში დაბეგვრის სახით ხსენებული განყოფილების სასარგებლოდ სპეციალური გამოსაღები ყველა გასართობ სანახაობაში (თეატრი, კინო, კონცერტი, ცირკი, საბილიარდო) შემსღელზე ბილეთის 10% რაოდენობით.

შენიშვნა. ამ მუხლში აღნიშნული გამოსაღები გადახდებიან იქნეს იმ გამოსაღების გარეშე, რაც საამისოდ დაწესებულია საქავშირო კანონმდებლობის წესით.

4. ამ დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათ განახორციერებს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ამ მიზნისათვის მოწყობილი სამდღიურის ჩამტარებელი განსაკუთრებული მთავარი რესპუბლიკანური კომიტეტის მეშვეობით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-

სრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-

ლებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდია.

1930 წ. აპრილის 26.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 122 №-ში 1930 წ. მაისის 28.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება.

158. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. ა. ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დებულების მე-9 მუხლის საფუძველზე, რომელი დებულება(დამტკიცებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის იანვრის 12-ის თარიღისა და მე-2 №-ის დადგენილებით („მოამბე“ 1925 წ. № 1—2), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის შესახებ.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის თებერვლის 8-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-2 №-ი, მუხ. 14 და 1929 წ. მე-13 №-ი, მუხ. 140) გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგ. გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. აპრილის 16
ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებობს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობა.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობას დაეკისრება—განაგოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური საბჭოს და აგრეთვე ამ ორგანოთა ყველა მუდმივი და დროებითი კომისიის საქმეები, გარდა სახელმწიფო საგეგმო კომისიის საქმეებისა.

კერძოდ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობა განაგებს:

ა) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მუშაობის გეგმის პროექტებისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის მოქმედების ანგარიშის შედგენის საქმეს;

ბ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში და ეკონომიურ საბჭოში განსახილველად შემოსულ საქმეთა მომზადებას, აღნიშნულ ორგანოთა მიერ განსახილველი საკითხების დაინტერესებულ უწყებებთან და დაწესებულებებთან შეთანხმებას და ამ საკითხების სათანადო ინსტანციებში წარმართვას მათ გადასაწყვეტად;

გ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური საბჭოს და მათი თავმჯდომარისა და ამ უკანასკნელის მოადგილეების სპეციალურ მინდობილობითა აღსრულების საქმეს;

დ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, ეკონომიური საბჭოს, სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების მიერ ხელისუფლების საერთო-საკავშირო, ამიერკავკასიის ფედერატიული და რესპუბლიკანური უზენაესი ორგანოების მინდობილობათა თავის დროზე და სისწორით აღსრულებისათვის საჭირო ღონისძიებათა ხმარების საქმეს;

ე) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს დადგენილებათა აღსრულების საქმეს და ამ დადგენილებების თავის დროზე და სისწორით განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებათა ხმარების საქმეს;

ვ) კანონპროექტების შემუშავებისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მიერ მიღებულ კანონთა და დადგენილებათა ტექსტის რედაქციის საქმეს;

ზ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის კანონთა და დადგენილებათა გამოქვეყნების საქმეს „საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში“, რომელსაც თითონ სცემს, და პერიოდულ ოფიციალურ ორგანოებში და აგრეთვე კანონების სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის საქმეს;

თ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში და ეკონომიურ საბჭოში შემოსული კანონპროექტებისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს და მათი თავმჯდომარისა და ამ უკანასკნელის მოადგილეების მიერ მინდობილი საკითხების შესახებ იურიდიული დასკვნის მიცემის საქმეს და აგრეთვე საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის განმარტების პროექტების შემუშავების საქმეს საქართველოს სსრ ცალკე სახალხო კომისარიატებისა და მათთან გათანასწორებული ცენტრალური დაწესებულებებისა და საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მთავრობების შეკითხვის გამო;

ი) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოსათვის და აგრეთვე მათი თავმჯდომარისა და ამ უკანასკნელის მოადგილეებისათვის სახალხო კომისარიატებისა, მათთან გათანასწორებული ცენტრალური რესპუბლიკანური დაწესებულებებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მოქმედების შესახებ სათანადო ინფორმაციის მიწოდების საქმეს მიღებული მასალის მიხედვით;

კ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მოქმედების ბეჭდვით ორგანოებში გაშუქებისა და მთავრობის მასალის გამოცემის საქმეს;

ლ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური საბჭოსათვის და მათთან არსებული ორგანოებისათვის ტექნიკური და სამეურნეო მომსახურების საქმეს.

3. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის სათავეში სდგას საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი, რომელსაც დანიშნავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭო და რომელსაც აქვს სათათბირო ხმის უფლება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სხდომებში.

საქმეთა მართველთან განწყობულია მისი მოადგილე, რომელიც განაგებს საადმინისტრაციო და სამეურნეო საკითხებს, და თანაშემწე იურიდიულ დარგში (სახალხო კომისართა საბჭოს უფროსი იურისკონსულტი).

4. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველს უფლება აქვს:

ა) წარმართოს, კანონით დადგენილი წესისამებრ, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს ყველა საქმე, მისცეს ხოლმე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უწყებებსა და დაწესებულებებს სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის დირექტივის თანახმად, სათანადო განმარტება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მიერ განსახილველი საკითხების შემუშავებისა და შეთანხმების შესახებ, მოსთხოვოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უწყებებსა და დაწესებულებებს საჭირო მასალა და ანგარიში საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს დადგენილებათა შესრულების შესახებ, დააბრუნოს ესა თუ ის საქმე და კანონპროექტი დამატებითი შემუშავებისათვის;

ბ) მოიწვიოს ხოლმე საუწყებათაშორისო და პერსონალური კომისიები და თათბირები საქმეთა მმართველობის მუშაობის პროცესში აღძრული საკითხების განსახილველად;

გ) განაგოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ხარჯთაღრიცხვით მიღებული კრედიტები;

დ) დასდოს ყოველგვარი სამოქალაქო გარიგება, რაც საჭიროა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სამეურნეო მომსახურებისათვის.

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის სტრუქტურას განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით და დამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე. აღნიშნული საქმეთა მმართველობის შედგენილობაში შემავალი ცალკე ორგანოების მოქმედების წესს და თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობას განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი.

შენიშვნა. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის შედგენილობაში არის სარედაქციო-იურიდიული ბიურო, რომელიც მოქმედობს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულების თანახმად.

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის თანამშრომლებს დანიშნავს საქმეთა მმართველი. საქმეთა მმართველის მოადგილეს და საქმეთა მმართველის თანამშემწეს იურიდიულ დარგში დანიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

159. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. ა. ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობასთან არსებული სარედაქციო-იურიდიული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობასთან არსებული სარედაქციო იურიდიული ბიუროს შესახებ.

2. დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის სარედაქციო-იურიდიული განყოფილების შესახებ (კან. კრ. 1928 წ. მე-2 №-ი, მუხ. 15; 1929 წ. მე-13 №-ი, მუხ. 141) გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. აპრილის 16.
 ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობასთან არსებული სარედაქციო-იურიდიული ბიუროს შესახებ.

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობასთან არსებობს სარედაქციო-იურიდიული ბიურო, რომელსაც დაეკისრება:

ა) განიხილოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების მიერ სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად შემოტანილი კანონპროექტები და რედაქცია გაუკეთოს მათ,

აგრეთვე განიხილოს კანონპროექტები, რაც საქართველოს სსრ მთავრობის მიერ მიღებულ იქნება დასკვნისათვის სსრ კავშირისა და ა/კაფსრ-ის მთავრობებისაგან;

ბ) შეადგინოს კანონპროექტები სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს წინადადებით და აგრეთვე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარისა, მისი მოადგილეებისა და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის დავალებით და შეუთანხმოს ეს კანონპროექტები დადგენილი წესისამებრ დაინტერესებულ უწყებებსა და დაწესებულებებს;

გ) საბოლოო რედაქცია გაუკეთოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებულ კანონპროექტებს;

დ) წარუდგინოს სათანადო შემთხვევაში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება, რომ საქიროა ამა თუ იმ უწყებას მიენდოს პროექტის შემუშავება საქართველოს სსრ მომქმედი კანონმდებლობის გაუქმებისა, შეცვლისა ან შევსების შესახებ;

ე) განიხილოს, სათანადო წესით წარსამართავად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში და ეკონომიურ საბჭოში შემოსული მთელი მიწერ-მოწერა იურიდიული საკითხების შესახებ;

ვ) მოამზადოს მოხსენებანი იურიდიული ხასიათის საკითხების შესახებ, რაც განხილულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში და ეკონომიურ საბჭოში;

ზ) შეადგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს, აგრეთვე მათი თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეების ან საქმეთა მმართველის დავალებით ყოველგვარი მოხსენება და ქალაქი იურიდიული ხასიათისა;

თ) მისცეს იურიდიული დასკვნა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის მიმდინარე მუშაობის დროს აღძრული საკითხების გამო და აგრეთვე სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს და მათი თავმჯდომარის ან ამ უკანასკნელის მოადგილეების წინადადებით;

ი) შეიმუშაოს საქართველოს სსრ მომქმედი კანონმდებლობის განმარტების პროექტი საქართველოს სსრ ცალკეული სახალხო კომისარიატებისა, მათი თანაბარი ცენტრალური დაწესებულებებისა და აგრეთვე საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მთავრობების შეკითხვის გამო და შეიტანოს იგი განსახილველად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში;

კ) რედაქცია გაუკეთოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს დადგენილებებს, რათა ამ დადგენილებების რედაქცია შე-

თანხმებულ იქნეს მოქმედ კანონმდებლობასთან და ამავე ორგანოების მიერ წინაღ გამოცემულ დადგენილებებთან;

ლ) გამოაქვეყნოს „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში“ საქართველოს სსრ მთავრობის კანონები და განკარგულებები, საქართველოს სსრ ცენტრალურ უწყებათა განკარგულებები და იურიდიულ პირთა წესდებები და აგრეთვე წარმართოს საქართველოს სსრ მთავრობის კანონები და განკარგულებები გამოსაქვეყნებლად პერიოდული ბეჭდვითი სიტყვის ოფიციალურ ორგანოში და თვალყური ადევნოს, რათა ეს კანონები და განკარგულებები თავის დროზე და სათანადოდ იქნეს გამოქვეყნებული;

მ) აწარმოოს საქართველოს სსრ კანონმდებლობის სისტემატიზაცია და კოდიფიკაცია;

ნ) აღასრულოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარისა, მისი მოადგილეებისა და საქმეთა მმართველის სპეციალური დავალებანი.

2. სარედაქციო-იურიდიული ბიუროს სტრუქტურა და შტატი განისაზღვრება საერთოდ დადგენილი წესისამებრ.

3. სარედაქციო-იურიდიული ბიუროს სათავეში სდგას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს უფროსი იურისკონსულტი—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველის თანაშემწე იურიდიულ დარგში.

4. უფროსი იურისკონსულტი:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს სარედაქციო-იურიდიული ბიუროს მუშაობას, გაანაწილებს სამუშაოს თანამშრომელთა შორის, ინსტრუქტირებას გაუწევს ამ თანამშრომლებს და საჭირო შემთხვევაში დააყენებს ცალკეულ საკითხებს კოლექციური განხილვისათვის;

ბ) მოახსენებს სარედაქციო-იურიდიული ბიუროს ქვემდებარე საკითხებს კუთვნილებისამებრ—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველს;

გ) დაესწრება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სხდომებს, რათა მისცეს დასკვნა და ცნობები იურიდიული საკითხების შესახებ; აღნიშნულ სხდომებში უფროსი იურისკონსულტს აქვს სათათბირო ხმის უფლება იურიდიული ხასიათის საკითხების განხილვის დროს.

5. სარედაქციო-იურიდიული ბიუროს გამგებლობის საკითხების სფეროში უფროსი იურისკონსულტს უფლება აქვს მოსთხოვოს ყველა უწყებასა და დაწესებულებას, რათა მათ წარმოადგინონ საჭირო ცნობები და მასალა და განმოგზავნონ, სათანადო შემთხვევაში, პასუხისმგებელი წარმომადგენელნი სიტყვი-

ერი ახსნა-განმარტების მისაცემად და აგრეთვე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს დადგენილებათა რედაქციაში მონაწილეობის მისაღებად.

6. საქართველოს სსრ მთავრობის ყველა გამოსაქვეყნებელ დადგენილებას, ვიდრე იგი წარდგენილ იქნებოდეს ხელმისაწვრად, ვიხას გაუკეთებს უფროსი იურისკონსულტი, რომელიც პასუხისმგებელია იმისათვის, რომ ეს დადგენილება შეთანხმებული იყოს მომქმედ კანონმდებლობასთან.

უკეთეს უფროსი იურისკონსულტი გამოსაქვეყნებელი დადგენილების ტექსტის საბოლოო რედაქციის დროს შენიშნავს, რომ ეს დადგენილება შეიცავს ისეთ შეუთანხმებლობას მომქმედ კანონმდებლობასთან, რომლის თავიდან აცილებაც სარედაქციო წესით შეუძლებელია, იგი ვალდებულია წერილობითი ფორმით მიაქციოს ამას სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის ან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველის ყურადღება—კუთვნილებისამებრ.

160. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს განსახილველად საკითხების შეტანის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს განსახილველად შეტანილი თვითეთლი საკითხის გამო წარდგენილ უნდა იქნეს დადგენილების პროექტი.

პროექტი უნდა შეიცავდეს კონკრეტულ წინადადებებს, ბუნდოვანი ფორმულების გარეშე, შედგენილი უნდა იყოს მშრომელთა ფართო მასებისათვის გასაგები მარტივი და ნათელი ფორმით და არ უნდა იყოს დატვირთული საინსტრუქციო ხასიათის ზედმეტი დეტალებით.

პროექტი არ უნდა შეიცავდეს მომქმედ დადგენილებათა განმეორებას, თუნდაც სხვა სიტყვებით, და არ უნდა იყოს დატვირთული დავალებებით როგორც თვით ინიციატორისადმი, ისე სხვა ორგანოებისადმი, უკეთეს სათანადო ღონისძიებათა განხორციელება შესაძლებელია საუწყებო ან საუწყებათაშორისო წესით.

2. არსებულ დადგენილებათა განსავითარებლად, დასამატებლად, შესაცვლელად ან გასაუქმებლად წარმოდგენილ პროექტში სისწორით უნდა იქნეს დასახელებული ეს დადგენილებანი და აგრეთვე კანონთა კრებული—გამოქვეყნებული დადგენილებისათვის და ოქმის ნომერი—გამოუქვეყნებელი დადგენილებისათვის.

წინად გამოცემული აქტის პროექტთან შეთანხმება უნდა მოხდეს წარმოდგენილი კანონის ტექსტში, შესავალ დადგენილებაში ან ცალკეულ აქტში.

3. დადგენილების პროექტთან დართულ განმარტებითს წერილში ზედმიწევნით და კონკრეტულად უნდა იყოს აღნიშნული ამ დადგენილების განხორციელების წესი და ის ცვლილებანი, რასაც პროექტის განხორციელება გამოიწვევს სახალხო მეურნეობასა, ფინანსებსა ან სახელმწიფო აპარატში.

კერძოდ, ისეთი პროექტის წარმოდგენის დროს, რომლითაც იცვლება დამტკიცებული საწარმოო, საფინანსო და საკრედიტო გეგმა, გათვალისწინებულ ცვლილებათა აუცილებლობის მიზეზებთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, თუ რამდენად შეესაბამება ეს ცვლილებანი სახალხო მეურნეობის იმავე დარგების ან მოსაზღვრე დარგების გეგმებს. ხოლო უკეთეს განზრახული ღონისძიება აუცილებლად ჰქონდეს ახალი სახსარის გაცემის საბიუჯეტო ასიგნვის ან საბანკო კრედიტის სახით, საკიროა კონკრეტულად აღინიშნოს, თუ რა წყაროების ხარჯით, — სამეურნეო და საფინანსო წონასწორობის დაურღვევლად, — უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება და რა ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი წინა დამტკიცებულ გეგმებში პროექტთან დაკავშირებით.

4. საკითხების ინიციატორს მხედველობაში უნდა ჰქონდეს ის, რომ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს ყურადღება საკიროა მიექცეს ისეთ საკითხებს, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, და ამ მიზნით ზედმიწევნით უნდა შეარჩიოს საკანონმდებლო ორგანოებში განსახილველად წარსადგენი საქმეები; კერძოდ, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს განსახილველად შეტანილ არ უნდა იქნეს:

ა) ისეთი საკითხი, რაც შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს საქართველოს სსრ უწყებების ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ დამოუკიდებლად ან შეთანხმების გზით;

ბ) ისეთი საკითხი, რასაც არსებითი მნიშვნელობა არა აქვს (მოხსენება მცირე ასიგნვათა შესახებ ხარჯთაღრიცხვის გარეშე, პროტესტი წმინდა ფორმალური ხასიათისა, მცირე უთანხმოება, სარედაქციო ხასიათის შესწორება და სხვ.)

შენიშვნა. ისეთი საკითხები, რაც შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს სათანადო სამეურნეო გეგმების განხილვის დროს, რომელი გეგმებიც ჯერ კიდევ არ არის შეტანილი განსახილველად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში და ეკონომიურ საბჭოში, ინიციატორის მიერ წარდგენილ უნდა იქნეს აღნიშნული გეგმების დამზადებულ ორგანოებში.

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს განსახილველად შეტანილი ყველა წინადადება წინასწარ შეთანხმებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ უშუალოდ დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან.

უწყებისა და ორგანიზაციის დასაბუთებული მოსაზრების წარსადგენად დაწესებულია ათი დღის ვადა საკითხის ინიციატორისაგან პროექტის თუ შეკითხვის მიღების დღიდან. უკეთეს ეს მოსაზრება ვადაზე არ იქნა მიღებული, საკითხი შეიტანება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში და ეკონომიურ საბჭოში სათანადო ცნობით იმის შესახებ, რომ დასკვნა ვადაზე მიღებულ არ იყო.

მოსაზრების მიღებისას საკითხის ინიციატორი ვალდებულია განიხილოს იგი არსებითად, შეიტანოს, უკეთეს საჭიროდ სცნობს, სათანადო ცვლილებანი პროექტში შენიშვნების თანახმად, ხოლო უკეთეს ამ შენიშვნებს არ დაეთანხმება, აღნიშნოს განმარტებით წერილში ან ცალკე ცნობაში, სახელდობრ რომელ შენიშვნას არ ეთანხმება და რატომ.

შენიშვნა. პროექტი მუდმივი კომისიის თუ კომიტეტის მიერ შეტანილი საკითხის გამო შეიძლება წარდგენილ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში და ეკონომიურ საბჭოში იმ უწყებებისა და ორგანიზაციების დასკვნის გარეშეც, რომელთა წარმომადგენელიც შედიან ამ კომისიაში თუ კომიტეტში, ხოლო ამასთანავე წარდგენილ უნდა იქნეს ცნობა არსებული კითხვების შესახებ.

6. უკეთეს საჭიროა, რომ საკითხი შეთანხმებულ იქნეს საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მთავრობებთან, პროექტი ან შეკითხვა გაიგზავნება შესათანხმებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით, ხოლო პასუხი მიცემულ უნდა იქნეს ოცი დღის ვადაზე პროექტის თუ შეკითხვის მიღების დღიდან.

7. მოხსენება შეიტანება იმ პირის ხელმოწერით, ვისაც აქვს უფლება შეიტანოს საკითხი განსახილველად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში და ეკონომიურ საბჭოში ამ უკანასკნელთა შესახებ არსებული დებულების თანახმად.

8. დადგენილების პროექტი, რომელიც შეტანილ იქნება ამა დადგენილებაში გათვალისწინებული წესების დარღვევით, არ განიხილება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს მიერ და ამ პროექტს დაუბრუნებს ინიციატორს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობა.

შენიშვნა. საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მთავრობების მიერ შეტანილი პროექტები შეიძლება დაბრუნებულ იქნეს მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის ან მისი მოადგილეების განკარგულებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მაგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. აპრილის 16.

ტფილისი-სასახლე.

161. დადგენილება ს. კ. ს.

„უაზარტო და აზარტიან თამაშობათა დაწესებულებების გახსნისა და მათთვის ზედამხედველობის გაწევის წესის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 18-ის დადგენილება „უაზარტო და აზარტიან თამაშობათა დაწესებულებების გახსნისა და მათთვის ზედამხედველობის გაწევის წესის შესახებ“ (კან. კრ. 1926 წ. მე-6 №-ი, მუხ. 135) გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგ. გ. მაგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. მაისის 18.
ტფილისი—სასახლე.

162. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის გადაცემისა და ამ ფაკულტეტის ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტად გადაკეთების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ადგენს:

1. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი გადაკეთებულ იქნეს ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტად და გადაიცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში.

2. ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მიმართ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს შეენარჩუნოს პროგრამულ-მეთოდური ხელმძღვანელობა.

3. წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს, მიწათმოქმედებისა და განათლების სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, გამოპყოს განათლების სახალხო კომისარიატის 1929-30 წლის ხარჯთაღრიცხვიდან—უმაღლესი სასწავლებლების ხაზით—ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის შესანახად გათვალისწინებული თანხა და შეიტანოს იგი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვაში ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შესანახად; თანაც „ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების“ 32

მუხლის „გ“ პუნ. თანახმად (ა/კსდსრ კან. კრ. 1929 წ. მე-18 №-ი, მუხ. 166 და 1930 წ. მე-4 №-ი, მუხ. 34), წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებისა და შემდგომი კანონიერი გაფორმებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში კრედიტების სათანადო გადატან-გადმოტანის პროექტი.

მიენდოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს ერთი თვის ვადაზე ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დებულების პროექტი და განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმების შემდეგ, წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. მაგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. მაისის 18.
ტფილისი—სასახლე.

163. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

„კლინიკებში სტაჟ-დამთავრებულ შტატის სამეცნიერო მომუშავეთა (ორდინატორთა) და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ საჩვენებელ სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებაში სტაჟ-დამთავრებულ შტატის ორდინატორების სავალდებულო სახელმწიფო სამსახურის დებულების“ მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„კლინიკებში სტაჟ-დამთავრებულ შტატის სამეცნიერო მომუშავეთა (ორდინატორთა) და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ საჩვენებელ სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებაში სტაჟ-დამთავრებულ შტატის ორდინატორების სავალდებულო სახელმწიფო სამსახურის დებულების“ (კან. კრ. 1926 წ. მე-2 №-ი, მუხ. 53) მე-6 მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 6. უკეთეს ექვსი თვის განმავლობაში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორგანოები არ მისცემენ სტაჟ-დამთავრებულ ორდინატორს ადგილს მისი სპეციალობის მიხედვით, იგი ვალდებულობისაგან განთავისუფლდება.“

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მაგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. მაისის 18.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 129 №-ში 1930 წ. ივნისის 5.

164. დადგენილება ს. კ. ს.

თუთის ხეების დაცვის შესახებ.

რადგანაც თუთის ნარგავები ცოტაა და ამ პირობებში მათი გამოყენება სხვა საჭიროებაზე, თუ არა მებარეშუმეობისათვის, საზიანოა მებარეშუმეობის განვითარებისათვის, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს მთლად საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე თუთის ხეების მოჭრა ისეთი შემთხვევის გარდა, როდესაც: ა) თუთის ხე გამხმარია ან იძლევა სულ მცირე მოსავალს; ბ) ხეს ფესვების სიღამპლე ვაუნჩნდება და გ) მიწის ის ფართობი, რაზედაც თუთის ნარგავებია, საქიროა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საქმისათვის.

2. 1-ლი მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თუთის ხის მოჭრის ნებართვას ვასცემს სასოფლო საბჭო უბნისა თუ რაიონის აგრონომთან შეთანხმებით.

3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 და 85 მუხლების მიხედვით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. მაისის 18.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 129 №-ში 1930 წ. ივნისის 5.

165. დადგენილება ს. კ. ს.

„ქალაქებისა და ქალაქ-ადგილების მოსახლეობისათვის პურის მიწოდების წესის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-9 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„ქალაქებისა და ქალაქ-ადგილების მოსახლეობისათვის პურის მიწოდების წესის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივნისის 21-ის დადგენილების მე-9 მუხლი (კან. კრ. 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 152) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„9. გადიდებული ფასების შემოღების გამო (მუხ. 8) არამშრომელი მოსახლეობისათვის პურის მიყიდვით მიღებული მოგება აღინუსხება ცალკე და მოხმარდება საჭამადო მრეწველობის მშენებლობას, მისი გაწყობილობის დამთავრებას და გადაკეთებას“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. მაისის 18.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 129 №-ში 1930 წ. ივნისის 5.

166. დადგენილება ს. კ. ს.

წყალში დალუპვისაგან გადამრჩენ საზოგადოებათა მოქმედების განვითარებისათვის ხელის შემწყობ ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიენიქოს წყალში დალუპვისაგან გადამრჩენ საზოგადოებათ საქართველოს სსრ-ში ზღვაზე და შინა წყალსაკალ გზებზე ნავთგამქირავებელი ნავთსაყუდებისა, წყალგადასასვლელებისა, ბორნებისა, საბანაოებისა და პლაჟების იჯარით აღებისა და ექსპლოატაციის უპირატესი უფლება ყველა სხვა დაწესებულებისა, ორგანიზაციისა და პირთან შედარებით, და განთავისუფლებულ იქნენ ეს საზოგადოებანი იმ მიწისა და წყლის ნაკვეთების საიჯარო ქირისაგან, რასაც ისინი გამოიყენებენ დალუპვისაგან გადამრჩენი პუნქტებისა, ცურვის სკოლებისა და ზემოხსენებულ საწარმოთა მოსაწყობად.

2. განთავისუფლებულ იქნეს წყალში დალუპვისაგან გადამრჩენ საზოგადოებათა სსრკ-ის კავშირი, მის მიერ გაერთიანებული საზოგადოებანი და მათი საწარმონი სასამართლო გამოსაღებისა და ბაჟისაგან და აგრეთვე იმ აქტების სანოტარო გამოსაღებისაგან, რომელთა სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულოა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1930 წ. მაისის 18.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 129 №-ში 1930 წ. ივნისის 5.

167. დადგენილება ს. კ. ს.

კალიასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

კახეთისა და ტფილისის ოლქებში და კასპის რაიონში კალიასთან გეგმიანად ბრძოლისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კალიასთან ბრძოლის საქმისათვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისროს მიწათმოქმედების სახალხო კომისარს—ამხ. სიმონ პილატეს ძე ჯუღელს, რომელიც დანიშნულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებულ რწმუნებულად კალიასთან ბრძოლის საქმეში.

2. დავეალოს ტფილისის, კახეთის და გორის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებს, კუთვნილებისამებრ, დაუყოვნებლივ მოაწყონ ადგილობრივ კალიასთან საბრძოლველად სპეციალური კომისიები, რომელნიც იმოქმედებენ განსაკუ-

თრებული რწმუნებულის დირექტივების თანახმად. კომისიებში შევლენ: თავმჯდომარედ—საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და წევრებად: ოლქის აგრონომი და საოლქო საადგილმამულო განყოფილების გამგე.

ასეთივე კომისიები (სამეულეები) მოეწყოს ზემოაღნიშნული ოლქების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან შემდეგი შედგენილებით: თავმჯდომარედ—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და წევრებად—რაიონის აგრონომი და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის სას.-სამეურნეო სექციის თავმჯდომარე.

3. მე-2 მუხლში აღნიშნული კომისიები განახორციელებენ კალიასთან ბრძოლის კამპანიის ჩატარების ფუნქციებს და ამ მიზნით გამოიყენებენ საქართველოს სსრ მიწათმოქმედებას სახალხო კომისარიატის მკენარეთა დაცვის განყოფილების მიერ კალიასთან საბრძოლველად მოწყობილ რაზმებს.

4. შრომის კანონთა კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად შემოღებულ იქნეს შრომის ბეგარა რაიონის ან ცალკეული სოფლების მოსახლეობისათვის, კალიასთან საბრძოლველად ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად, შემდეგ საფუძველზე:

ა) შრომის ბეგარის მოსახდელად შეიძლება გაწვეულ იქნეს, ქვემოაღნიშნული გამონაკლისით, მთლად შრომის უნარიანი მამრობითი სქესის მოსახლე, 18 წლიდან 45 წლამდე, რომელიც რაიონში ან სათანადო სოფელში მუდმივად ცხოვრობს;

ბ) სავალდებულოა შრომის ბეგარისაგან განთავისუფლება ყველა იმ პირისა, რომელიც წითელი არმიის ან ფლოტის ნამდვილ სამსახურშია, და აგრეთვე იმ პირისა, რომელიც განთავისუფლებულია შრომის ბეგარაზე გაწვევისაგან შრომის კანონთა კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად; დამატებით გამონაკლისსა და შეღავათს ჯანმრთელობის, ოჯახური და სამსახურებრივი მდგომარეობის და სამუშაოს ხასიათის მიხედვით დააწესებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი;

გ) იმ რაიონის თუ სათანადო სოფლის ყველა მცხოვრები, რომლის მოსახლეობაც გაწვეულია შრომის ბეგარაზე, პირადი შრომის გარდა, მოვალეა გადასცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ან სათანადო სასოფლო საბჭოს განკარგულებად, შრომის ბეგარის შესრულების დროის განმავლობაში (მუხ. 4), თავისი კუთვნილ მუშა-საქონელი, ჰაპანზიდვის საჭირო ტრანსპორტით და ინვენტარით, და აგრეთვე კალიასთან ბრძოლის წარმატებით წარმოების უზრუნველსაყოფად საჭირო მასალა, რაც მის განკარგულებაშია;

დ) ბეგარა-ვალდებული პირნი მოიხდიან შრომის ბეგარას მორიგეობის წესით, რასაც დაადგენს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი ისეთი ანგარიშით, რომ თვითვეული პირის სამუშაო დღეების რიცხვი კალიასთან ბრძოლის მთელი დროს განმავლობაში, შეძლებისადაგვარად, 3 დღეს არ აღემატებოდეს;

ე) მოსახლეობის ფაქტიურად გამოყენება შრომის ბეგარისათვის, საჭირო სამუშაოს შესასრულებლად, მოხდება საოლქო ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, რასაც იგი გამოიტანს როგორც თავისი ინიციატივით, ისე საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოთხოვნით;

ვ) იმ პირს, ვინც თავს აარიდებს შრომის ბეგარის მოხდას, დაედება ადმინისტრაციული წესით, სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან სასოფლო საბჭოს დადგენილებისამებრ, პირველად—ფულადი ჯარიმა 5 მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა 5 დღემდე; ხოლო უკეთეს იგი ამას განიმეორებს ან შრომის ბეგარის მოხდას დაჟინებით თავს აარიდებს, მიიციემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის თანახმად.

5. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ტელეგრაფით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მალოზლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1930 წ. მაისის 23.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 123 №-ში 1930 წ მაისის 29.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

მიმდინარე 1930 წელს „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული“, როგორც საერთო წესი, ამიერკავკასიის ფარგლებში იგზავნება საბარათო (უმისამართო) სისტემით: „კანონთა კრებულის“ ნომრები ტფილისის საოლქო ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მეშვეობით ეგზავნებათ ადგილობრივ საფოსტო დაწესებულებათ, რომელთაც უნდა ჰქონდეთ საექსპედიციო ბარათები; ამ ბარათების მიხედვით „კანონთა კრებული“ ურიგდება ხელისმომწერლებს.

ყოველი შემთხვევა, როდესაც „კანონთა კრებული“ სწორედ არ იქნება მოწვეული, უნდა ეცნობოს ჯერ ადგილობრივ საფოსტო დაწესებულებას, ხოლო, თუ განცხადება არ იქნება დაკმაყოფილებული, — „კანონთა კრებულის“ გამომცემლობას, მისამართით: ტფილისი — სასახლე.